დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიღების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიღების წესი (შემდგომში - ,,წესი“) არეგულირებს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - „თსუ“) ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ჩარიცხვის პროცედურას.

2. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ჩარიცხვასთან დაკავშირებულ პროცედურებს უზრუნველყოფს თსუ-ის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი.

მუხლი 2. წესის მიზანი

ამ წესის მიზანია თსუ-ში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტთა/მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვის პროცედურების უზრუნველყოფა, ასევე სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობა.

მუხლი 3. თსუ-ის სტუდენტის სტატუსის მოპოვება

ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე თსუ-ში სწავლის მსურველი აბიტურიენტები/მაგისტრანტობის კანდიდატები/სტუდენტები უნდა აკმაყოფილებდნენ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 4. თსუ-ში წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა

1. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტის/სტუდენტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

ა) განცხადება რექტორის სახელზე (საგანმანათლებლო პროგრამის მითითებით);

ბ) მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) უცხო ქვეყანაში მიღებული სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (შემდგომში - „უსდ“) მიღებული შეფასებების და კრედიტების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი

პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უსდ-ში;
ე) მოქალაქეობის არმქონე პირის განცხადებას მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნაცვლად უნდა დაერთოს ბინადრობის მოწმობის ასლი.

2. საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:
ა) განცხადება რექტორის სახელზე;
ბ) მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
გ) უცხო ქვეყნის მიერ აღიარებული უსდ-ის მიერ გაცემული უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (დიპლომი);
დ) უცხო ქვეყნის უსდ-ში მიღებული კრედიტების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/ სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უსდ-ის მაგისტრატურაში;
ე) მოქალაქეობის არმქონე პირის განცხადებას მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნაცვლად უნდა დაერთოს ბინადრობის მოწმობის ასლი;
ვ) მაგისტრანტობის კანდიდატმა, რომელიც უსდ-ში ჩაირიცხა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, უნდა წარმოადგინოს:
ვ.ა) დადგენილი წესით ჩარიცხვის შედეგად მიღებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის – დიპლომისა და დიპლომის დანართის ასლი/ცნობა ხარისხის მინიჭების თაობაზე;
ვ.ბ) უსდ-ის ხელმძღვანელის აქტი, რომელიც ადასტურებს უსდ-ში უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე პირის ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვას.

3. უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტები უნდა იყოს თარგმნილი ქართულ ენაზე და დამოწმებული ნოტარიუსის მიერ.

მუხლი 5. ერთიანი ეროვნული გამოცდების /საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/სტუდენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების მიღების წინაპირობები

1. ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში აბიტურიენტი/სტუდენტი/ მაგისტრანტობის კანდიდატი აბარებს გამოცდას შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლების ენაში.
2. მაგისტრანტობის კანდიდატი/მაგისტრანტი საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარების მიზნით გადის თსუ-ის მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე/გამოცდებზე.
3. ენის/ენების გამოცდიდან თავისუფლდება აბიტურიენტი/სტუდენტი/მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს ან/და უცხოეთში/საქართველოში საბაზო/სრული ზოგადი ან მისი

ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს/უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.

4. გამოცდა ენა/ენებში ტარდება წერილობითი სახით. საგამოცდო ნამუშევრები ფასდება 100 ქულიანი სისტემით. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ აბიტურიენტი/სტუდენტი/მაგისტრანტობის კანდიდატი მიიღებს დადებით შეფასებას (მინიმუმ 51 ქულა).

5. მაგისტრატურაში მიღების პირობები განისაზღვრება შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის წინაპირობების გათვალისწინებით.

6. თსუ-ის რექტორის წერილობითი თანხმობა პირის მიღების შესაძლებლობის თაობაზე - სახელის, გვარისა და საგანმანათლებლო პროგრამის მითითებით, გაიცემა სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში არსებულ ვაკანტურ ადგილზე შესაბამისი გამოცდის/გამოცდების ჩაბარებისა და კონკურსის გავლის შემთხვევაში.

7. თსუ-ის რექტორის წერილობითი თანხმობა ბოლო საკონკურსო ადგილზე გასულ ორ ან მეტ პირზე გაიცემა ვაკანტური ადგილების გადაჭარბებით.

მუხლი 6. გამოცდების ჩატარების ვადები და პროცედურა

1. ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთათვის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე გამოცდების ჩატარების ვადები და ვაკანტური ადგილები განისაზღვრება თსუ-ის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთათვის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის გამოცდების ჩატარების ვადად განისაზღვრება აპრილის და ივლისის თვე, ხოლო გაზაფხულის სემესტრისათვის - ოქტომბრის და იანვრის თვე.

3. საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის გამოცდების ჩატარების ვადად ასევე განისაზღვრება საერთო სამაგისტრო გამოცდაგავლილი მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული საგამოცდო პერიოდი.

4. ენის/ენების გამოცდის ტესტების მომზადებას და საგამოცდო ნაშრომების გასწორებას ახორციელებს თსუ-ის ენების შემსწავლელი ცენტრი, რომელიც პასუხისმგებელია ტესტის სისწორესა და გამოცდის შეფასებათა სიზუსტეზე.

5. იმ აბიტურიენტის/სტუდენტის/მაგისტრანტობის კანდიდატის, რომელიც წარმოადგენს ენის/ენების ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს ან/და უცხოეთში/საქართველოში საბაზო/სრული, ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს/უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაციის

დამადასტურებელ დოკუმენტს, ენის/ენების გამოცდიდან განთავისუფლებაზე გადაწყვეტილებას იღებს თსუ-ის ენების შემსწავლელი ცენტრი.

6. გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს თსუ-ის საგამოცდო ცენტრი.

მუხლი 7. თსუ-ში ჩარიცხვა

1. უსდ-ში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე აბიტურიენტს/სტუდენტს/მაგისტრანტობის კანდიდატსა და თსუ–ს შორის ფორმდება ხელშეკრულება.
2. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გამოიცემა რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ჩარიცხვის თაობაზე.
3. თსუ უზრუნველყოფს სტუდენტის ჩართვას სასწავლო პროცესში სააუდიტორიო მეცადინეობების დაწყებიდან 2 კვირის ვადაში.
4. რექტორის ბრძანება დაუყოვნებლივ ქვეყნდება თსუ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე და აისახება სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

მუხლი 8. სწავლის საფასური

სწავლის საფასურის ოდენობა განისაზღვრება ჩარიცხვის წლისათვის დადგენილი საუნივერსიტეტო ტარიფების შესაბამისად.